ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 602406120**

თარიღი:**01/03/2024**

ხონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ,,ე.ვ' ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,ა" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2025 - 2028 წლების შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა 3-8 -ე დანართების შესაბამისად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1.).
5. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1. პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შექმნა

ლადო ჯურხაძე	მერი - თავმჯდომარე
გერასიმე მჟავანაძე	მერის პირველი მოადგილე- თანათავმჯდომარე.
ლევან ჩიხლაძე	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი -წევრი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი.
გელა ჩოგოვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- წევრი.
ლეილა კინწურაშვილი	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტარანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - წევრი.
ილია ყუფარაძე	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი - წევრი.
მარიამ რუხაძე	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - წევრი.
ირაკლი ჟორჟოლიანი	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ერთეულის, ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის ხელმძღვანელი - წევრი.
ირინა შალამბერიძე	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი - წევრი.
მამუკა ჭავჭანიძე	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის , მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.
აკაკი გოფომე	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრის დირექტორი

დანართი 2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი

თვე	ვადა	აქტივობა
მარტი	მარტი 1	1 მარტიდან მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
	მარტი 15	სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურებს მიწოდება მომავალ წლებში.
აპრილი		
	აპრილი 22	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).
	აპრილი 22	სამუშაო ჯგუფი აცხადებს მოქალაქეებიდან წინადადებების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიისა და ვადების მითითებით.
მაისი	მაისი 31	ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით მოქალაქეთა წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადა.
ივნისი	ივნისი 20	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას როგორც ეს აღწერილია ბრძანების მე-3 მუხლში, დანართი 1 ში მოცემული შაბლონის გამოყენებით. ისინი აფასებენ მოქალაქეთა წინადადებებს ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით და ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტური საფუძვლიანობიდან გამომდინარე.
	ივნისი 20	სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები განიხილავენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შეიტანენ ცვლილებებს, პროგრამებში, მიღებული კომენტარების შესაბამისად.
	ივნისი 26	სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ საფინანო სამსახურსა და სამუშაო ჯგუფს.
ივლისი	10 ივლისი	პროგრამული ინფორმაციის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საფინანსო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს და წარუდგენს მას სამუშაო ჯგუფს, (სამსახურებისა და მოქალაქეების მიერ) ახლად შემოთავაზებულ პროგრამებთან ერთად.

	17 ივლისი	სამუშაო ჯგუფი მოამზადებს კომენტარებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტზე და მოახდენს ახლად შემოთავაზებული პროგრამების/ქვე-პროგრამების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესის მეშვეობით, ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტებში მათი როლის (და ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული მეთოდოლოგიით გაწერილი ნებისმიერი დამატებითი კრიტერიუმის) გათვალისწინებით.
	25 ივლისი	საფინანსო სამსახური ამზადებს მიმდინარე პროგრამების (რომელიც გრძელდება მომავალ წლებში) საშუალოვადიან ხარჯთაღრიცხვებს და შემოსულობების პროგნოზს და სამუშაო გჯუფს წარუდგენს ახალი ინვესტიციების დაფინანსების პოტენციალს. მიღებული მასალების განხილვის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი საფინანსო სამსახურს აწვდის რეკომენდაციებს ახლად შემოთავაზებული პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული პროგრამების სიას, რესურსებთან შესაბამისობაში.
	ივლისი 31	საფინანსო სამსახური ასწორებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მერის გადაწყვეტილების მიხედვით და ადგენს ხარჯების ლიმიტს საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ გადაწყვეტილების გათვალისწინებით.
აგვისტო	აგვისტო 1	საფინანსო სამსახური ზღვრული ჭერებისა და რიცხოვნობის მითითებით უზგავნის საბიუჯეტო ორგანიზაციებს.
აგვისტო	აგვისტო 25	საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო მოთხოვნებს, ფინანსურ სამსახურს.
აგვისტო	აგვისტო 30	სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ მოთხოვნებს და ამზადებს საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტს მუნიციპალიტეტის მერისთვის წარსადგენად.
სექტემბერი	სექტემბერი 2	მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს სამართლებრივ აქტს რითიც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალო ვადიან სამოქმედო გეგმას
სექტემბერი	სექტემბერი 5	საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო მოთხოვნებს საფინანსო სამსახურს.
ნოემბერი	1 ნოემბერი	საფინანსო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტის წარსადგენ ვერსიას.
		საფინანსო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს.
	11 ნოემბერი	საფინანსო სამსახური ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ახდენს წარდგენილი დოკუმენტების კორექტირებას და ამზაებს მას მერისათვის გადასაცემად.
	15 ნოემბერი	მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს.

	20 ნოემბერი	საკრებულოსათვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდება საჯარო განხილვისთვის.
	25 ნოემბერი	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
დეკემბერი	დეკემბერი 09	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
	დეკემბერი 31-მდე	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

დანართი 3

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	

პროგრამის დასახელება:

პროგრამის განმახორციელებელი:

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სულ პროგრამა	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

დანართი 4

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	

ქვეპროგრამის დასახელება:

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

დაფინანსების წყარო

დასახელება	2025 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სულ ქვეპროგრამა	

ქვეპროგრამის აღწერა:

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
	X	X	X	X
	X	X	X	X
	X	X	X	X
	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2025 წელი)

დანართი 5

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები												
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2024 წელი (საბაზისო)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი						

დანართი 6

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები												
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2024 წელი (საბაზისო)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი						

დანართი 7

ინფორმაცია პროგრამის შესრულების თაობაზე

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	

პროგრამის გამახორციელებელი					
პროგრამის აღწერა და მიზანი					
დაგეგმილი საბოლოო შედეგი				მიღწეული შედეგი	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1					
2					
3					
4					
5					
6					

დანართი 8

ინფორმაცია ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე

<table>
<tr><td>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის გამახორციელებელი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>დაგეგემილი შუალედური შედეგი</td><td colspan="2"></td><td>მიღწეული შედეგი</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>1</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>3</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>4</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>5</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>6</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>